ს ს ი პ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

07.07.16. № 122

თბილისი

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის
შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსის ე. ნარეშელაშვილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის №466 ბრძანების საფუძველზე „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ ქვეპროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის შერჩევის მიზნით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის შერჩევის მიზნით. კონკურსის ჩატარდეს 2016 წლის 22 ივლისის.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2016 წლის 15 ივლისიდან და დასრულდეს 2016 წლის 20 ივლისს, 17 საათზე. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: კოსტავას ქ. №77, მე-2 სართული, ოთახი №241, კანცელარია, ტელ: 2 36 52 03), 10 საათიდან – 17 საათამდე.
3. დამტკიცდეს საკონკურსისი პირობები დანართი №1-ს შესაბამისად.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიცილურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტემენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის შერჩევის მიზნით
გამოცხადებული კონკურსის პირებები და წარმოსადგენი
დოკუმენტაციის ჩამონათვალი

სამუშაოს აღწერა

შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა:

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ორი პროფესიული სტუდენტის განათლების მხარდაჭერა. კერძოდ:

- **შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო** საჭიროების მქონე პირთა ჩართულობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შეფასება მათი პროფესიული ინტერესების, წინა პროფესიული უნარ–ჩვევების დადგენის მიზნით;
- შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა;
- შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის სწავლისას და საწარმოო პრაქტიკისას ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის კადრთან ერთად (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებთან და სხვ.);
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა და სხვა სპეციალისტთა კონსულტირება და მხარდაჭერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სწავლების პროცესში;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისთვის განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.

ვალდებულება:

- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი ანგარიშვალდებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი ვალდებულია შეათანხმოს ყველა გადაწყვეტილება საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

მოთხოვნები

- უმაღლესი განათლება
- არანაკლებ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება
- ამ სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
“ უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
“პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი
პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიია (2013-2020 წწ)

დამატებითი მოთხოვნები
სასურველი პროფესია:
განათლების ან რომელიმე სხვა დაკავშირებულ სფეროში
სამუშაო გამოცდილება: მუშაობის არა უმცირეს ორწლიანი გამოცდილება განათლების და/ან ინკლუზიური განათლების სფეროში.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს მოთხოვნებისა და დამატებითი მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

კონკურსის ეტაპები
- განცხადების გადარჩევა
- გასაუბრება

ანაზღაურების ოდენობა
თვეში 600 ლარი

ხელშეკრულების პერიოდი
არაუმეტეს 6 თვე.